ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა
კომისიის სხდომის ოქმი №15

24 აგვისტო , 2018 წელი
14:00 საათი

(ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ოთახი 329)

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. გიორგი დოხტურიშვილი
2. ნინო ლაცაბიძე;
3. ოთარ გრიგოლია
4. ვლადიმერ ძნელაძე;
5. ლილე ლიპარტელიანი;
6. ფრიდონ ინჯია;

მოწვეული სტუმრები:

1. ქეთევან ველთაური-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი.
2. თამარ ძაგნიძე-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი, დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის კოორდინატორი.

სხდომის დღის წესრიგი:

- **1„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №8-22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე.**
(12-0318222175-03; თარიღი 10.08.2018)

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი დოხტურიშვილი.

გიორგი დოხტურიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა. კომისიის წევრებს და მოწვეულ სტუმრებს წარმოუდგინა ქვორუმი და გააცნო დღის წესრიგი.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

- **გიორგი დოხტურიშვილმა წარადგინა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №8-22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

წარმოდგენილი პროექტით (შემდგომში - პროექტი) ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №8-22 დადგენილებაში, კერძოდ, წარმოდგენილი პროექტით იცვლება „დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის განხორციელების წესის“ (დანართი №1) მე-3 მუხლის მე-4 პუნქტს ემატება „გ“ ქვეპუნქტი, კორექტირდება ამავე მუხლის მე-5 პუნქტი და ასევე მე-7 მუხლის პირველი პუნქტი.

პროექტის მიხედვით, მიმწოდებელი დაწესებულების სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებს ემატება: შემოწმების შედეგად გაკეთებული დასკვნის საფუძველზე განმახორციელებლის უფლებამოსილება მიმწოდებელს წერილობითი შეტყობინებით გაუუქმოს ქვეპროგრამაში რეგისტრაცია. ასევე, წარმოდგენილი პროექტით, ცენტრი უზრუნველყოფს ქვეპროგრამის მიმწოდებლის/მისი კონტრაქტორის ან/და ფილიალის ან/და მობილური გუნდის მიერ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შემოწმებას. შემოწმების განხორციელების ფორმა და მექანიზმი განისაზღვრება ქვეპროგრამის განმახორციელებელთან შეთანხმებით. ცენტრი ყოველთვიურად წარუდგენს ქვეპროგრამის განმახორციელებელს შემოწმების შედეგებს. მოქმედი რედაქციით, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შემოწმებას ახორციელებდა ქვეპროგრამის განმახორციელებელი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური).

კომისიის სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

ნინო ლაცაბიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ააიპ ,,ეროვნული სკრინინგ ცენტრისთვის'' მონიტორინგის უფლების მინიჭებით მოხდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის მაკონტროლებელი ფუქნციის გადაფარვა და ამავდროულად, ეს გამოიწვევს ინტერესთა კონფლიქტს, ვინადან ააიპ ,,ეროვნული სკრინინგ ცენტრი'' შეამოწმებს მის ქვეკონტრაქტორ დაწესებულებებს.

ლილე ლიპარტელიანი დაეთანახმა გამოთქმულ მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი ცვლილებით მონიტორინგის პროცესი შესაძლოა წარიმართოს სუბიექტურად.

ოთარ გრიგოლიამ კითხვით მიმართა მერიის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელს, რა ტიპის შემოწმებას ახორციელებს ჯანდაცვის საქალაქო სამსახურის მონიტორინგის განყოფილება და რამ განაპირობა ეროვნული სკრინინგ ცენტრისთვის მონიტორინგის ფუნქციის გაძლიერება?

თამარ ძაგნიძემ განმარტა რომ მერიის საქალაქო სამსახურს არ აქვს შესაბამისი რესურსი შეამოწმოს ქვპროგრამაში ჩართული ყველა ქვეკონტრაქტორი. სწორედ ამან განაპირობა ცვლილების საჭიროება პროგრამის განხორციელების წესში.

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა საკითხი არ დააყენა კენჭისყრაზე, ვინაიდან კომისიის წევრების უმრავლესობამ მიიჩნია, რომ საკითხის დაზუსტების მიზნით მოხდება იგივე საკითხის განხილვა შემდგომ კომისიის სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი — გიორგი დოხტურიშვილი